


საპროტესტო აქციები
დაკვირვების ქვეშ



თბილისი
2020


ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ, პროექტის „საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“ ფარგლებში, რომელიც „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით განხორციელდა. ანგარიშში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა „ღია საზოგადოების ფონდის“ ოფიციალურ მოსაზრებად.

მონაცემთა დამუშავება და მონიტორინგი: გიორგი ნიქარიშვილი, ქეთევან მურ-
ღულია, თათია კონიაშვილი, გიორგი გამხიტაშვილი

რედაქტორი: თამარ ხიდაშელი

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ხიდაშელი, უჩა ნანუაშვილი

© დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი




სარჩევი

1. შესავალი	5
2. მეთოდოლოგიური ჩარჩო	7
3. პოლიტიკური კონტექსტი.....	8
3.1. კოოპორაციული სარჩევო სისტემის შესახებ კანონდროკედის ჩავარდნა და ოპოზიციის საპროტესტო აქციები.....	9
3.2. ძალადობრივი ზბუფები სახელმწიფოში და მათი გამოყენება უმცირესობებისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.....	10
4. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი	12
4.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები	13
5. აქციებზე დაკვირვების შედეგები	19
5.1. 2019 წლის 31 დეკემბრის მოვლენები.....	20
5.2. სამართალდამცველთა ქმედებები აქციებზე.....	22
5.3. დემონსტრანტების ქცევა აქციებზე.....	25
6. სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგები	28
6.1. მართლსაჯულების განხორციელებისას გამოვლენილი ტაქნიკური სხვის დარღვევები	28
6.2. სამართალდამცველებზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტები.....	29
6.3. სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა რელევანტურობისა და უზუსტობის საკითხი.....	29
6.4. დაკავებულ პირთა მიერ ჩადენილი ქმედებების სამართლებრივი შეფასების პრობლემები.....	30
6.5. სასამართლოს გადაწყვეტილებები	31
7. რეკომენდაციები	33



1. შესავალი



2011 წლის 26 მაისის შეკრების ძალადობრივი გზით დაშლიდან 8 წლის შემდეგ, 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს ხელისუფლებამ პირველად გამოიყენა არაპროპორციული ძალა შეკრების დასაშლელად, რამაც საპროტესტო აქციების მიმდინარეობაზე სამოქალაქო კონტროლის გაძლიერების საჭიროება წარმოაჩინა.

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს 2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის მარტის¹ ჩათვლით თბილისში, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული პოლიტიკური შინაარსის საპროტესტო აქციებსა და პერფორმანსებზე დაკვირვების შედეგებს. გარდა ამისა, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა იმ სასამართლო პროცესების მონიტორინგი, სადაც საპროტესტო აქციების მონაწილე აქტივისტების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები იხილებოდა.

ანგარიშის მიზანია შეკრება-მანიფესტაციების ორგანიზებისა და მიმდინარეობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, აქციების პერიოდში გამოკვეთილი სამართალდარღვევების სამართლებრივი ანალიზი და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.


ძირითადი დაკვირვების სახით შეიძლება ითქვას, რომ აქციების უმრავლესობა მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. გამონაკლისი იყო 2019 წლის 31 დეკემბერი, როდესაც პარლამენტის წინ სპონტანურად ორგანიზებული აქციის დაშლის პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა უფლებამოსილების გადაშეცემის ფაქტებს. აქციებზე გამოიკვეთა სამართალდამცავებსა და დემონსტრანტებს შორის სიტყვიერი დაპირისპირების შემთხვევებიც. ერთგვარ ტენდენციად იქცა შესაბამისი საშვის მქონე სამოქალაქო აქტივისტების პარლამენტის შენობაში შესვლის შეზღუდვა.

¹ COVID 19-თან დაკავშირებული პანდემიის გამო, საპროტესტო აქციები 2020 წლის მარტის პირველი კვირის შემდეგ აღარ გამართულა.

სასამართლო სხდომების მონიტორინგის პროცესმა ცხადი გახადა, რომ დემონსტრანტთა დაკავებისას შედგენილი სამართალდარღვევის ოქმები იდენტური და შაბლონური ხასიათის იყო, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ხშირ შემთხვევაში პატრულ-ინსპექტორებს ოქმები ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით არ შეუდგენიათ. შეუსაბამოები გამოიკვეთა მონმეთა სახით სასამართლოში დაკითხულ პატრულ-ინსპექტორთა ჩვენებებშიც. მათ მიერ გაცხადებული ინფორმაცია გარკვეულ შემთხვევებში არ შეესაბამებოდა ვიდეოკადრებში ასახულ ფაქტებს.

ანგარიში ალწერილია მონიტორინგის მეთოდოლოგიური ჩარჩო, გაანალიზებულია პოლიტიკური შინაარსის მქონე აქციებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობის დროს დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესებზე გამოკვეთილი ზოგადი ტენდენციები. ანგარიში ასევე მოიცავს შეკრება-მანიფესტაციების სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზს. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ძირითადი რეკომენდაციები.

2. მეთოდოლოგიური ჩარჩო



საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები ოცდაორ აქციას და ცხრა სასამართლო სხდომას დააკვირდნენ. დაკვირვების საწყის ეტაპზევე მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, შევიმუშავეთ შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც საპროტესტო აქციებზე მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დარღვევების სისტემატიზაცია შეეძლებოდა.


რეგულარული დაკვირვების პროცესში გავანალიზეთ საპროტესტო აქციების ზოგადი მახასიათებლები და სამართლებრივად შევაფასეთ, როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და სასამართლოებში სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პრაქტიკა, ასევე, შეკრებისა და გამობატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები.

პროექტის განხორციელების დაწყებისთანავე შევხვდით სამოქალაქო მოძრაობების „სირცხვილია“, „გაბედავ“, „გხედავ“ და „შეცვალეს“ წარმომადგენლებს. პოლიტიკური აქტორების მიერ დაანონსებული აქციების შესახებ ინფორმაციას მათი პრესსამსახურების დახმარებით, სოციალური და ონლაინ მედია პლატფორმის საშუალებით ვიღებდით.

მონიტორინგის ფარგლებში მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენეთ შემდეგი მიდგომები:

- » საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან
- » დაკვირვების პროცესში ჩართული მონიტორების მიერ შემუშავებული პირადი ანგარიშები
- » საპროტესტო აქციების მსვლელობისას სამოქალაქო აქტივისტებისა და მედია საშუალებების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეომასალის ანალიზი.

3. პოლიტიკური კონტექსტი



აქციებზე დაკვირვებას წინ უსწრებდა მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაცია და მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ საზოგადოებრივი ჯგუფების მზარდი უკმაყოფილება, რაც 2019 წლის 20 ივნისის აქციის ძალადობრივ დაშლას და მოგვიანებით, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით დაპირებული საკონსტიტუციო ცვლილებების ჩაგდებას უკავშირდებოდა.

2019 წლის 20 ივნისს, თბილისში მიმდინარე მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის 26-ე გენერალურ სესიაზე, რუსეთის დუმის წევრმა სერგეი ვაგრილოვმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელიდან ასამბლეის სხდომის წაყვანა სცადა. ამ ფაქტმა პოლიტიკოსთა და მოქალაქეთა ნაწილის აღშფოთება გამოიწვია და რამდენიმე საათში პარლამენტის წინ ფართომასშტაბიანი აქცია დაიწყო. მოგვიანებით, აქციის მონაწილეთა ნაწილი სამართალდამცავებს დაუპირისპირდა. შუალამისას, დაახლოებით 12 საათისათვის პოლიციამ აქციის დასაშლელად ცრემლსადენი გაზი, წყლის ქავილი და რეზინის ტყვიები გამოიყენა.² ძალის გამოყენების შედეგად, 200-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, 20 ივნისის აქციის დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა.³ გარდა ამისა, გამოიკვეთა პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი დემონსტრანტების არასათანადო მოპყრობის ფაქტები,⁴ არაეფექტური საგამოძიებო მოქმედებები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირფესვიანი რეფორმის საჭიროება.⁵

2 დასაწავია, რა მოხდა 20 ივნისს თბილისში - მოკლედ, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3dm9lRq> (ბოლოს ნანახია 22.03.2020).

3 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება, 2019, გვ. 6, ხელმისაწვდომია <https://gyla.ge/ge/post/angarishis-dakarguli-tvalis-mighma-prezentacia#sthash.tunYPv3g.PhGi8hiH.dpbs>

4 იქვე, გვ. 6.

5 იხ. სქოლიო 5, გვ. 1-12.

ხელისუფლების მხრიდან ძალის გადამეტებით გამოწვეული საპროტესტო აქციების საპასუხოდ, 24 ივნისს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ „ქართული ოცნების“ ინიციატივის და კონსულტაციების დაწყებისთვის მზადყოფნის შესახებ განაცხადა.⁶

3.1. პროპორციული საარჩევნო სისტემის შესახებ კანონპროექტის ჩაპარდნა და ოპოზიციის საპროტესტო აქციები

2019 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე, 20-21 ივნისის მოვლენების დროს დაკავებული პირების განთავისუფლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას გადადგომის მოთხოვნით, სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები გაგრძელდა. ამის მიუხედავად, მმართველმა გუნდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე გიორგი გახარიას კანდიდატურას დაუჭირა მხარი,⁷ ხოლო 14 ნოემბერს პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი ჩააგდო.⁸

საპასუხოდ, სამოქალაქო მოძრაობებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა მხარდამჭერების მობილიზებისა და პარლამენტის პიკეტირების გადწყვეტილება მიიღეს. პარლამენტის შესასვლელების პიკეტირებაში მონაწილეთა რიცხოვნებიდან და შეკრების არაძალადობრივი ხასიათიდან გამომდინარე, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ არაპროპორციულ ზომად შეაფასა 2019 წლის 18 ნოემბერს აქციის წყლის ჭავლით და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშლა.⁹

28 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მეტალის კონსტრუქციებით გადაკეცა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, რათა დემონსტრანტებს პარლამენტთან შეკრების შესაძლებლობა არ მისცემოდათ. „დემოკრატიის

⁶ რადიო თავისუფლება, „2020 - პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით“, 24 ივნისი, 2019.

⁷ „არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ პარლამენტის წევრებს, ნდობა არ გამოუცხადონ გახარიას კანდიდატურას“, 6 სექტემბერი, 2019, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/152>

⁸ „პროპორციული სისტემის კანონპროექტი ჩააგარდა“, ნეტგაზეთი, 14 ნოემბერი, 2019, <https://netgazeti.ge/news/405122/>

⁹ „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ არაპროპორციულ ღონისძიებას უკანონოდ მიიჩნევს, 18 ნოემბერი, 2019 <http://www.democracyresearch.org/geo/97>

კვლევის ინსტიტუტის“ შეფასებით, შსს-ს მხრიდან კანონით გაუთვალისწინებელი ღონისძიების გამოყენება ლეგიტიმურ საფუძველს იყო მოკლებული.¹⁰ აქვე აღსანიშნავია, რომ პოლიციამ შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო 2019 წლის 2 დეკემბრის ინციდენტის დროს, როდესაც სამართალდამცავებმა თავისი უმოქმედობით მმართველი პარტიის მხარდამჭერებს მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევის შესაძლებლობა მისცეს.¹¹

3.2. ძალადობრივი ჯგუფები სახელმწიფოში და მათი გამოყენება უმჯობესობებისა და პოლიტიკური მოქმედებების წინააღმდეგ

2019 წელი ულტრამემარჯვენე რადიკალური იდეოლოგიის ჯგუფების უზრუნველყოფით აქტიურობით გამოირჩეოდა, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ტოლერანტული და ინდიფერენტული დამოკიდებულებით პასუხობდა.¹² ტენდენციის სახით გამოიკვეთა, რომ რადიკალური იდეოლოგიის ძალადობრივი ჯგუფები არაერთხელ დაუპირისპირდნენ საპროტესტო აქციების მონაწილეებს, რომელთა მთავარი უკმაყოფილება ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული.¹³ აღნიშნულ შემთხვევებში შინაგან საქმეთა სამინისტროს აგრესიული ჯგუფების მიმართ ძირითადად შემწყნარებლური დამოკიდებულება ჰქონდა, რამაც, ერთის მხრივ, დაუსჯელობის განცდა შექმნა რადიკალური იდეოლოგიის მატარებელ დაჯგუფებებში, ხოლო მეორეს მხრივ, საპროტესტო მოძრაობების წარმომადგენლებს შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა შეუზღუდა.

10 „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის გადაკეტვას ეხმარება, 28 ნოემბერი, 2019, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/159>.

11 „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ შეფასება ქართული ოცნების ცენტრალურ ოფისთან მომხდარ დაპირისპირებაზე, 4 დეკემბერი, 2019, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/160>

12 სამართალდამცავების რეაგირების გარეშე დარჩა 2019 წლის 16 ივნისს მსოფლიო საოჯახო კონგრესის წარმომადგენლის ლევან ვასაძეს განცხადება შეიარაღებული ფორმირებების შექმნასთან დაკავშირებით. იხ. <http://www.tabula.ge/ge/story/150536-vasadze-policias-tu-kordonis-garghvevis-sas-dagvitskebt-cemas-miighebt-komblebis>; ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ძალადობრივი ჯგუფების მუქარასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას არ შეეძლო „თბილისი პრაიდის“ გუნდის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ღონისძიებაზე დაგეგმილი ადგილებისა და ფორმატის გათვალისწინებით. იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/12775?print=1>.

13 მაგალითისთვის იხილეთ 2019 წლის 14 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან მიმდინარე აქციის მონიტორინგის შედეგები <http://www.democracyresearch.org/geo/53>.

მაგალითად, 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის“ ჩატარებისათვის ხელის შეშლის მიზნით, ულტრამემარჯვენე ძალადობრივმა დაჯგუფებებმა რუსთაველის გამზირზე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დაიკავეს და ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეებს დაუპირისპირდნენ, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე მთელი კვირის განმავლობაში იკრიბებოდნენ.¹⁴ ძალადობრივი ჯგუფების აქციის მონაწილეთაგან გასამიჯნად, მთელ პერიმეტრზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებული.¹⁵ მიუხედავად ამისა, ისინი არ რეაგირებდნენ კონტრდემონსტრანტთა აგრესიულ და ძალადობრივ მოწოდებებზე, მათ მიერ ალკოჰოლური სასმელის მიღების, დემონსტრანტთა მიმართ სხვადასხვა ნივთების სროლის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვა შემთხვევებზე.

2019 წლის 8 ნოემბერს, კინოთეატრ „ამირანთან“ აღნიშნულმა ჯგუფებმა ქვიარ თემატიკაზე შექმნილი ქართულ-შვედური ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ პრემიერის ძალადობრივად ჩაშლის მიზნით, უპრეცედენტო მობილიზაცია შეძლეს.¹⁶ „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ შეფასებით, 8 ნოემბრის აქცია დასაწყისშივე გასცდა მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს და მკვეთრად ძალადობრივი ხასიათი მიიღო. მართალია, მოგვიანებით, შესაბამისი ზომების მიღების შემდეგ, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა ვერ შეძლეს კინოთეატრებში ფილმის ჩვენების ჩაშლა, თუმცა, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისად, დაგვიანებულად და არასათანადოდ უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს მიერ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების ლიდერების მიმართ დაწყებული გამოძიების გაჭიანურება, რამაც აღნიშნულ პირებს დიდი ოდენობით ძალების მობილიზებისა და ახალი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის შესაძლებლობა მისცა.¹⁷


¹⁴ „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგი საქართველოში, (მაისი-აგვისტოს მონიტორინგის შედეგები), გვ. 16, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/files/6DRI%20-%20shkrebebis%20monitoring.pdf>

¹⁵ იქვე, გვ. 16.

¹⁶ „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“, კინოთეატრ „ამირანთან“ მიმდინარე აქციის მონიტორინგის შედეგები, 11 ნოემბერი, 2019, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/88>.

¹⁷ იქვე.

4. შეკრებისა და მამონხატვის თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი



შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების ფორმებსა და მისი პროცედურულად განხორციელების წესებს „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს. კანონმდებლობა რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია და უფლების მატარებლისთვის ხელოვნურ ბარიერებს ქმნის.

ამ კუთხით საყურადღებოა კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დანაწესი, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობას, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტილია შეკრებისგან ან მანიფესტაციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. კანონი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ობიექტურად შეუძლებელია შესაბამისი ორგანოს წინასწარი ინფორმირება შეკრების/მანიფესტაციის გამართვის თაობაზე მისი სპონტანურობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სპონტანურად გამართული შეკრებების დაცვისა და მათი ჩატარების უზრუნველყოფის ვალდებულება, სანამ შეკრება მშვიდობიან ხასიათს ატარებს.¹⁸

ეთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, როდესაც კანონმდებლობა მოითხოვს წინასწარი შეტყობინების მექანიზმის გამოყენების ვალდებულებას, კანონში მკაფიოდ უნდა გაიწეროს აღნიშნული ვალდებულების შესრულებისგან საგამონაკლისო წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი ორგანოს გაფრთხილება კანონით დადგენილ ვადაში შეუძლებელია.

¹⁸ Oya Ataman v. Turkey, application no. 74552/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სტრასბურგი, 2006 წლის 5 დეკემბერი.

ბელია.¹⁹ მითითებული საკითხის ხარვეზიანობა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობა ვენეციის კომისიის 2011 წლის მოსაზრებაშიც არის აღნიშნული.²⁰ მართალია, აღნიშნულ ბუნდოვანებას საანგარიშო პერიოდში აქციის ორგანიზატორების/მონაწილეებისთვის პრობლემა არ შეუქმნია, თუმცა, მომავალში, სპონტანური აქციის ორგანიზებისთვის ხელის შეშლის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორება.

4.1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები

პრაქტიკა მოწმობს, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების დაშლის დროს პოლიცია შეკრების მონაწილეების „გასანეიტრალებლად“ ყველაზე ხშირად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე²¹ და 173-ე²² მუხლებს კუმულაციურად იყენებს.²³ უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984 წელსაა მიღებული და მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, რაც მუდმივად წარმოადგენს კრიტიკის საფუძველს. სამწუხაროდ,

19 ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 76, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/82979>

20 ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) საბოლოო მოსაზრებები „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ცვლილებების შეტანის თაობაზე. ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2011\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2011)029-e)

21 მუხლი 166, წვრილმანი ხულიგნობა.

22 მუხლი 173, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

23 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი, თბილისი, 2017, გვ. 12.

დღემდე ვერ მოხერხდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული და თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული კოდექსის შემუშავება.

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ მიერ პოლიტიკური შინაარსის აქციებისა და ამ აქციების დროს დაკავებულთა სასამართლო პროცესების მონიტორინგ-მა ცხადყო, რომ არასრულყოფილ საკანონმდებლო რეგულაციებთან ერთად, პრობლემურია სამართალდამცავების მიერ შესაბამის ნორმათა განმარტება და პრაქტიკაში მათი გამოყენება.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფა და მისი გამიჯვნა წვრილმანი ხულიგნობისგან

საპროტესტო აქციებზე დაკავებული აქტივისტების სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად, 2 შემთხვევაში გამოიკვეთა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების ერთობლივად გამოყენების მცდარი პრაქტიკა. რაც გამოიხატა იმაში, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მათთვის შეურაცხყოფის მიყენებას წვრილმან ხულიგნობადაც აკვალიფიცირებენ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქმედება სხვა სამართალდარღვევის ნიშნებს შეიცავს. ამდენად, მნიშვნელოვანია, მოცემული სამართალდარღვევის მკაფიო სამართლებრივი ანალიზი. სამართლის თეორეტიკოსების განმარტებით, ხულიგნობა, თავისი არსით, გულისხმობს სხვადასხვა ქმედების განხორციელების გზით საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას.²⁴ შესაბამისად, ხულიგნობის ჩამდენი პირის მამოძრავებელი ძირითადი მოტივია კონკრეტული პირისათვის ან პირთა ჯგუფისათვის შეურაცხყოფის მიყენება, აგრეთვე, საზოგადოების, მოქალაქეთა მიმართ უპატივცემულობის საჯაროდ დემონსტრირება.

განსახილველ კონტექსტში მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევების შეფასება, როდესაც სამართალდამცავებისათვის შეურაცხყოფის მიყენება, რაც წარმოადგენს მათდამი ნეგატიური დამოკიდებულების არაეთიკური ფორმით გამოხატულებას, კოდექსის 166-ე მუხლით დაკვალიფიცირდა. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა არა წვრილმანი ხულიგნობა, არამედ ადმინისტრაციულ სამართალ-

²⁴ იხ. მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, მე-7 გამოცემა, თბ. 2019, გვ. 776.

დარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედება. აღნიშნული მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სამსახურების თანამშრომელთა დაცვა და მათი საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებაა. შესაბამისად, 173-ე მუხლი თავისი დანიშნულებითა და დასაცავი ობიექტით მკვეთრად განსხვავდება წვრილმანი ხულიგნობისაგან. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას, რომელიც მიმართულია სპეციალურ შემთხვევათა და სუბიექტთა წრის მიმართ და უშუალოდ ეხება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიმართ განხორციელებულ შეურაცხმყოფელ ქმედებებს. წვრილმანი ხულიგნობა კი არის ზოგადი ნორმა, რომლითაც დაცულ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე.

2019 წლის 31 დეკემბერს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ სამოქალაქო აქტივისტთა ორ საქმეში პოლიციელებისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება სხვა მუხლთან ერთად წვრილმანი ხულიგნობის მუხლითაც იყო დაწყებული. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს სამართლებრივ შეცდომებს და ხელოვნურად ქმნის სამართალდარღვევათა ერთობლიობას.

წვრილმანი ხულიგნობის არასრულყოფილი საკანონმდებლო დეფინიცია

საპროტესტო აქციების, შეკრებებისა და დემონსტრაციების და სასამართლო პროცესების მონიტორინგმა ცხადყო, რომ სამართალდამცავებს ცალკეულ შემთხვევებში უჭირთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა იდენტიფიკაცია და მათი გამიჯვნა შეკრების მონაწილეთა გამოსატვის თავისუფლებით დაცული მოსაზრებებისაგან.

წვრილმანი ხულიგნობა არის საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება, და სხვა ამგვარი ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.²⁵

ქმედება წვრილმანი ხულიგნობად შეფასდება მაშინაც, როდესაც დამრღვევის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფისათვის შეურაცხყოფის მიყენება.²⁶ რაც გათვალისწინებულია კიდეც წვრილმანი ხულიგნობის დისპოზიციის, კერძოდ, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებაში. თუმცა, ქმედება იმ შემთხვევაშიც შეიცავს წვრილმანი ხულიგნობის ნიშნებს, როდესაც პირი უმისამართოდ იგინება/ილანძღება საჯარო სივრცეში ან საზოგადოების დასახლად ახორციელებს სხვა შეურაცხმყოფელი ხასიათის ქმედებას (მაგალითად, უხამსი, შეურაცხმყოფელი უსტიკულოება და ა.შ.). ქმედება შეურაცხმყოფელია, ვინაიდან ილახება ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული მორალური/ეთიკური ნორმები, რაც იწვევს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევას. აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ პირის ქმედებამ შედეგად გამოიწვიოს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია შეურაცხყოფის არასრულყოფილი საკანონმდებლო განმარტება, რის გამოც, სამართალდამცავებს ხშირად უჭირთ დემონსტრანტთა პროტესტის გამიჯვნა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისაგან. არსებული რეგულაციებით, რთული განსაჯრეცია, საჯარო პროტესტის რომელი ფორმა არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით და რა ჩათვლება წვრილმანი ხულიგნობად. სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, არსებობს წვრილმანი ხულიგნობის შემადგენლობის ფართოდ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საწინააღმდეგოდ განმარტების საფრთხე, რაც პოლიციის მიერ დემონსტრანტთა შეკრებისა და გამოხატვის ფორმების დაუსაბუთებელი შეზღუდვის საშიშროებას ქმნის.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რასაც ადამიანის უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი უნდა აკმაყოფილებდეს. ადამიანის უფლებათა

25 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166, <https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=445#>

26 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი, თბილისი, 2017, გვ. 11 ხელმისაწვდომია <https://gyla.ge/files/news/2008/geo.pdf>

ევროპული სასამართლოს მიერ პრაქტიკაში დადგენილი მოთხოვნების თანახმად, კანონი ფორმულირებული უნდა იყოს საკმარისი სიცხადით, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი კონსულტაციით, განჭვრიტონ კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგები.²⁷

აღნიშნულ საკითხზე არსებულ ხარვეზს ვერ ავსებს ეროვნული სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკა. 2019 წლის 31 დეკემბერს დაკავებულთა საქმეებზე მსჯელობისას, სასამართლომ განმარტა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ შექმნა მტკიცებულებათა ის სტანდარტი, რაც საკმარისი იქნებოდა სასამართლოსათვის დაკავებულთა სამართალდამრღვევად ცნობისათვის. ერთ შემთხვევაში, როდესაც პირის მიერ უხამსი სიტყვებით ხმამაღალი საუბრის ფაქტი ვიდეოჩანანერით დადასტურდა, მოსამართლემ იგი სამართალდამრღვევად ცნო წვრილმანი ხულიგნობისთვის, იმაზე მსჯელობის მიუხედავად, თუ რამდენად განჭვრეტადი იყო ამგვარი შედეგი, ან რამდენად უნდა გაეთვალისწინებინა პირს პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობა. მეორე მხრივ, აღნიშნული ნორმის განმარტებისათვის საყურადღებოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ლაშა თავართქილაძის 2019 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში, წვრილმანი ხულიგნობის ფორმულირება არ იყო საკმარისად ცხადი და მოქალაქეებს არ აძლევდა შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში გონივრული დოზით განეჭვრიტათ კონკრეტული ქმედების მოსალოდნელი შედეგი.²⁸

შედეგი, როგორც სამართალდარღვევის აუცილებელი პირობა


ქმედების 166-ე მუხლით დაკვალიფიცირებისას, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, როგორც წესი, არ განსაზღვრავენ თუ რამდენად დაარღვია პირმა საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა სიმშვიდე, რაც ჩარევის ლეგიტიმური საფუძველი იქნებოდა. საპროტესტო აქციებისა და სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საპროტესტო აქციების დროს აქტივისტთა დაკავებაში მონაწილე სამართალდამცავთა უმრავლესობას საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება წვრილმანი ხულიგნობით გათ-

²⁷ Delfi AS v. Estonia, application no. 64569/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განჩინება, 2015 წლის 16 ივნისი, პარა. 121.

²⁸ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, „გამოხატვის თავისუფლება საქართველოში“, 2020 გვ.31-32.

ვალისწინებული შემადგენლობის არსებობისათვის საკმარის პირობად მიაჩნია, მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა შედეგი (დაირღვა თუ არა მოქალაქეთა სიმშვიდე ან საზოგადოებრივი წესრიგი). სასამართლოზე მოწმედ დაკითხულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ვერ განმარტეს, თუ როგორ დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი ან მოქალაქეთა სიმშვიდე დაკავებულთა ქმედებით. სამართალდამცავების ნაწილმა (2 შემთხვევა) ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ვერ მოახერხა კოდექსის 166-ე მუხლის სრულყოფილი ფორმულირება (რომ სამართალდარღვევისათვის აუცილებელია ქმედებას მოქალაქეთა სიმშვიდის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა მოჰყვეს), რაც ბადებს კითხვებს მათ მიერ 2019 წლის 31 დეკემბერს პირთა დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებით.

5. აქციებზე დაკვირვების შედეგები



„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ დამკვირვებლები 2019 წლის 30 დეკემბრიდან 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებულ, პოლიტიკური შინაარსის 22 აქციას დააკვირდნენ.

შეკრება/დემონსტრაციებში მონაწილეთა რაოდენობა 20-დან 500-მდე მერყეობდა. ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავთა რაოდენობა მკვეთრად აღემატებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას.

ცალკეული გამონაკლისების გარდა, აქციები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ერთ შემთხვევაში²⁹ დემონსტრანტები შეკრების ადგილიდან (პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან) მათი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით გაიყვანეს. ასევე, ძალის გამოყენებით გაიტანეს ადგილიდან აქციის მონაწილეების კუთვნილი კარავები და პირადი ნივთები. გარდა აღნიშნულისა, დემონსტრანტებსა და სამართალდამცავთა შორის სიტყვიერ დაპირისპირებას ქონდა ადგილი ხუთ აქციაზე. ორი აქციის მიმდინარეობისას კი ერთმანეთს მმართველი პარტიის აქტივისტები და დემონსტრანტები დაუპირისპირდნენ.

აქციების ორგანიზატორები ძირითადად იყვნენ სამოქალაქო მოძრაობები: „გაბედე“, „შეცვალე“, „სირცხვილია“, ასევე, ოპოზიციური პარტიები - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლელო საქართველოსთვის“, „გირჩი“ და სხვა. ერთ შემთხვევაში, აქცია-პერფორმანსი გამართეს არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის“ წარმომადგენლებმა.

შეკრება/დემონსტრაციების ძირითადი მოთხოვნები იყო:

- » პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვა
- » სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა თვითნებობის აღკვეთა
- » სახელმწიფოს „პრორუსული პოლიტიკური კურსის“ შეცვლა

²⁹ 2019 წლის 31 დეკემბრის აქცია.

- » გიგი უგულავას დაპატიმრების ფონზე პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება
- » სოლიდარობა სპეცოპერაციის შედეგად მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამის მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ

თებერვალში ასევე აქტიუალურ საკითხს წარმოადგენდა ყოფილი მთავარი პროკურორის ირაკლი შოთაძის დანიშნვა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე,³⁰ რასაც სამოქალაქო მოძრაობებისა და გავრთიანებული ოპოზიციის პროტესტი მოჰყვა.

5.1. 2019 წლის 31 დეკემბრის მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბერს, გამთენიისას მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს პარლამენტის წინ განთავსებული მალხაზ მაჩალიკაშვილისა და 20-მდე აქტივისტის კარვების დემონტაჟი დაიწყეს. მათ ტერიტორიიდან დემონსტრანტების პირადი ნივთები და ჟურნალისტების კუთვნილი აღჭურვილობაც გაიტანეს. აქტივისტების განცხადებით, მერიის საქალაქო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ისინი ძალის გამოყენებით გაიყვანეს, რის შემდეგაც მერიის დასუფთავების სამსახურმა ტერიტორიის დასუფთავება დაიწყო. ადგილზე მობილიზებული იყო 100-მდე პოლიციის თანამშრომელი, რომლებიც დემონსტრანტთა განცხადებით, მათ გაყვანაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს აქტივისტების წინააღმდეგობის აღკვეთაში ეხმარებოდნენ.

კარვების დემონტაჟის გაპროტესტების მიზნით, სამოქალაქო მოძრაობების „გაბედე“, „შეცვალე“ და „სირცხვილიას“ აქტივისტებმა სპონტანურად დაგეგმეს აქცია - „სოლიდარობა უსამართლობასთან მეზობლებს, ქვეყანას არ ეზიემება“. აქციას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერები და მათი მხარდამჭერებიც შეუერთდნენ. მოგვიანებით, სამართალდამცავებმა წვრილმა-

30 ირაკლი შოთაძე საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტს იკავებდა 2015-2018 წლებში.

ნი ხულიგნობის და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საბაბით აქციის 9 მონაწილე დააკავეს.³¹

თბილისის მერიის განცხადებით, პარლამენტის წინ ტერიტორია საბავშვო გასართობი სივრცის მოსაწყობად გასუფთავდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე მართლაც დამონტაჟდა საბავშვო გასართობი ატრაქციონები, მომდევნო 48 საათის განმავლობაში ტერიტორია რკინის ჯგბერებით იყო შემოღობილი. შესაბამისად, მოქალაქეებს ატრაქციონებზე წვდომა შეზღუდული ჰქონდათ.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონით აღიარებული და დაცული უფლების შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციულად შემზღუდველი.³² შესაბამისად, ნებისმიერი გამოყენებული ზომა უნდა ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისათვის ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალება.³³ პროპორციულად ვერ ჩაითვლება ღონისძიება, რომელიც არ იყენებს მინიმალურად შემზღუდველ ღონისძიებას ან დაწესებული ბლანკეტური აკრძალვებით, ფუნდამენტურად ცვლის შეკრების სახეს, მისი ქალაქის ნაკლებად ცენტრალურ ადგილებში გადატანით და სხვა.³⁴

იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 31 დეკემბერს, თბილისში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მოედანზე და დედაენის პარკში ფუნქციონირებდა საახალწლო სოფელი პატარებისათვის, რომლის ორგანიზებაშიც მცირე მენარმეებიც იყვნენ ჩართულნი, შესაძლებელი იყო პარლამენტის წინ მონყობილი სადღესასწაულო სივრცისათვის ალტერნატიული ადგილის გამოჩვენება, იქ მყოფი დემონსტრანტების შეკრების თავისუფლების ხელყოფის გარეშე.

31 2019 წლის 31 დეკემბრის აქციასთან დაკავშირებით დაკავებულთა უმრავლესობის საქმეებზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარემ (შინაგან საქმეთა სამინისტრომ) ვერ წარმოადგინა მტკიცებულება ის სტანდარტი, რაც საჭირო იყო წარდგენილი მუხლებით პირთა სამართალდამრღვევად ცნობისათვის. ერთ შემთხვევაში, დაკავებული ცნობილ იქნა ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდამრღვევად, ხოლო მეორე შემთხვევაში - 173-ე მუხლით. 31 დეკემბერს დაკავებულთა საქმეების სამართლებრივი დეტალები შემდგომ თავებში იქნება განხილული.

32 „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, პუნქტი 3, „ვ“ ქვეპუნქტი.

33 „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3 „თ“ პუნქტი.

34 ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) მშვიდობიანი შეკრების თავისუფალი მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 74; ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/82979>

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის წინ განთავსებულ დემონსტრანტთა მიმართ გამოყენებული ღონისძიება პროპორციულად ვერ ჩაითვლება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების თანახმად, სამსახურის მანდატი თბილისის მერიის ობიექტების, ბაღების, პარკებისა და სკვერების უსაფრთხოების უზრუნველყოფით შემოიფარგლება.³⁵ შესაბამისად, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება, დაშალონ შეკრება თუ დემონსტრაცია, გამოიყენონ ძალა ან სხვა სახით შეითავსონ საპოლიციო ფუნქციები. არაუფლებამოსილი სამსახურების მიერ საპოლიციო ფუნქციების შეთავსებას არ გააჩნია კანონიერი საფუძველი.

პარლამენტის წინ გამართული საბავშვო სივრცის აღების შემდეგ, რუსთაველის გამზირზე, უშუალოდ პარლამენტის შენობის წინ მდებარე ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოები დაიწყო, რამაც ხანგრძლივი დროით შეუზღუდა დემონსტრანტებს თბილისის ცენტრალურ ნაწილში საპროტესტო აქციების გამართვის შესაძლებლობა. „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ 2020 წლის 8 იანვარს თბილისის მერიიდან წერილობით გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვასთან დაკავშირებით.³⁶ მერიიდან პასუხი არ მიგვიღია.³⁷

5.2. სამართალდამსჯელთა ქმედებები აქტივობა

აქციებზე დამსწრე სამართალდამცავთა ქმედებები, უმეტესწილად, პროპორციულ ხასიათს ატარებდა და მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამებოდა. შეკრება/დემონსტრაციაზე გამოვლენილ სამართალდარღვევებზე პოლიციელების რეაგირება ხშირ შემთხვევაში სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლებოდა; თუმცა, რამდენიმე აქციაზე შემზღუდავი ღონისძიებები არაპროპორციულად გამოიყენეს.

³⁵ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების სამსახურის დებულება იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4001128?publication=0>

³⁶ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის "წერილი №20200108/41.

³⁷ 2020 წლის 16 აპრილის მდგომარეობით.

მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეებს წარმომადგენლობითი ორგანოს შენობაში დასაშვებად აუცილებელი საშვები ჰქონდათ, სამართალდამცავებმა, შესაბამისი სამართლებრივი საფუძველის მითითების გარეშე, მათ ხუთ შემთხვევაში³⁸ არ მისცეს შენობაში შესვლის უფლება, რაც ეწინააღმდეგება წარმომადგენლობითი ორგანოების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპს და არასწორ პრაქტიკას წარმოადგენს. გარდა ამისა, შეკრების მონაწილეებს ერთ შემთხვევაში³⁹ შეეზღუდათ პარლამენტის სასახლის კანცელარიაში (რომელიც პარლამენტის შენობის საჯარო ნაწილში მდებარეობს) შესვლის უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს შენობაში შესვლის უფლება შეზღუდული იყო სპეციალური საშვის მქონე პირთათვისაც.

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ამოცანაა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან დაიცვას: საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები, მათი მიმდებარე ტერიტორია და წესრიგი ამ ტერიტორიებზე.⁴⁰ გარდა ამისა, კანონი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებს უფლებას ანიჭებს დაცვის სპეციალური ღონისძიების განსახორციელებლად, შეზღუდონ კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა ან გადაადგილება.⁴¹ უსაფრთხოების კონტროლის გაძლიერების მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ასევე შეიზღუდოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესასვლელი საშვების დაშვება.⁴²

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ შენობაში შესაბამისი საშვის მქონე პირთა შესვლის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად,

38 აქციის მონაწილეებს პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა არ მისცეს სამ შემთხვევაში (2020 წლის 21 იანვარი, 4 თებერვალი, 17 თებერვალი), ხოლო ორ შემთხვევაში (24 იანვარი, 27 იანვარი) საკრებულოს შენობაში.

39 2020 წლის 26 თებერვალი.

40 კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“, მუხლი 4.1.

41 კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“, მუხლი 8, „ე“ ქვეპუნქტი.

42 „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის 259/3 ბრძანება, ნაწილი 19.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს უსაფრთხოების კონტროლის გაძლიერების აუცილებლობა, შესაძლებელია შეიზღუდოს საშვების დაშვება, რასაც აღნიშნულ შემთხვევებში ადგილი არ ჰქონია.

ერთ შემთხვევაში⁴³ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეებთან ერთად, საკრებულოში შესვლის უფლება არ მისცეს პარლამენტის დეპუტატებს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, რაც პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენს.⁴⁴

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ მონიტორების დაკვირვებით, ჩატარებული აქციები მონაწილეთა რაოდენობის და შეკრების მშვიდობიანი ხასიათის გათვალისწინებით, არ ქმნიდა საფრთხეს, რაც აუცილებელს გახდიდა სამართლებრივი სიკეთის დასაცავად პარლამენტის/საკრებულოს შენობაში (განსაკუთრებით, პარლამენტის შენობის საჯარო ნაწილში განთავსებულ კანცელარიაში) მოქალაქეების დაშვების შეზღუდვას. საფრთხის არარსებობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ადგილზე მყოფმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რასთან დაკავშირებით იყო შენობაში შესვლა შეზღუდული.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა რეაქცია არაპროპორციული იყო სამოქალაქო მოძრაობა „გაბედეს“ მიერ ივანიშვილის ბიზნესცენტრთან ჩატარებული აქციის⁴⁵ რეგულირების დროსაც. კერძოდ, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებმა სრულად გადაკეტეს გვირაბის ის ნაწილი, რომელიც ერთი მხრივ, თბილისის ბოტანიკური ბაღის, ხოლო მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრის შესასვლელს წარმოადგენდა. აღნიშნული ქმედებით შეკრების მონაწილეებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უკანონოდ შეეზღუდათ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ მონიტორებმა ასევე, არაერთ აქციაზე შენიშნეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, რომელთა ხშირმა და უშუალო კომუნიკაციამ სამართალდამცავებთან,

43 2020 წლის 27 იანვარს, როდესაც აქციის მონაწილეები საკრებულოს დეპუტატის ლევან ხაბიეშვილის ცემას აპროტესტებდნენ.

44 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „პარლამენტის წევრს უფლება აქვს შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევების გარდა“.

45 2020 წლის 18 თებერვალი.

გაჩინა გონივრული ეჭვი, რომ ისინი წარმოადგენდნენ სამართალდამცავ ორგანიზაციებს, სათანადო მაიდენტიფიცირებელი უნიფორმისა და ნიშნის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ქმედებები პროპორციულ ხასიათს ატარებდა, იშვიათ შემთხვევებში, ისინი ადეკვატურად არ აფასებდნენ საპროტესტო აქციაზე არსებულ სიტუაციას, მონაწილეების ქმედების ხასიათს და ჩარევის აუცილებლობას; და მაშინ, როცა მიზნის მიღწევა სხვა, უფლების უფრო ნაკლებშემზღუდავი საშუალებითაც იყო შესაძლებელი, არაპროპორციულ ძალას იყენებდნენ.

5.3. დემონსტრანტების ქვავა აქციებზე

საანგარიშო პერიოდში გამართულ 22 აქციაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დემონსტრანტების მხრიდან არ დაფიქსირებულა კანონმდებლობის იმ მასშტაბის დარღვევა, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს შექმნიდა. თუმცა, ნათელი გახდა, რომ აუცილებელია მათი ინფორმირებულობის დონის გაზრდა შეკრებისა და მანიფესტაციების მარეგულირებელი კანონმდებლობის თაობაზე.

ორ შემთხვევაში⁴⁶ დემონსტრანტებმა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით⁴⁷ საკრებულოს შენობის ფასადებზე პოსტერები და სურათები გააკრეს. ერთ შემთხვევაში⁴⁸ სამოქალაქო მოძრაობების წარმომადგენლებმა პლაკატები, წარწერით - „აჭარის ტელევიზიაში სუსია“, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობის მიწის ღობეზე გააკრეს, თუმცა, აქციის დასრულებისთანავე თავადვე ჩამოხსნეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სამართალდამცავებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ.

შეკრების მონაწილეებმა სამ შემთხვევაში⁴⁹ პულვერიზატორების გამოყენებით წარწერები გააკეთეს ან/და მოხატეს ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო

46 2020 წლის 24 და 27 იანვარს.

47 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 1502, ნაწილი 1. <https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=445#!>

48 2020 წლის 6 მარტს გამართული აქციის დროს.

49 2020 წლის 30 იანვარს, 31 იანვარს და 17 თებერვალს გამართული აქციების დროს.

საშუალებების სავალი ნაწილი. აქედან ორ შემთხვევაში (30 იანვარსა და 17 თებერვალს) პრეზიდენტის რეზიდენციისა და საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე,⁵⁰ ხოლო მესამე შემთხვევაში (31 იანვარს), პარტია „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე.⁵¹ არც ერთ შემთხვევაში აღნიშნულ შემთხვევაში აქციის მონაწილეები არ დაუჯარიმებიათ.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, შეკრების მონაწილე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე,⁵² შეკრების მონაწილეებს ეკრძალებათ ადვილად ააღებინონ ნივთიერებების ქონა. საანგარიშო პერიოდში, შეკრების მონაწილეებმა აქციის ტერიტორიაზე ნივთებს ცეცხლი წაუკიდეს ორ შემთხვევაში. 2020 წლის 25 თებერვალს ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს ცენტრის წინ გამართული აქციის მიმდინარეობისას, მიუხედავად სამართალდამცავთა წინააღმდეგობისა, აქციის მონაწილეებმა ცეცხლი წაუკიდეს ნაჭრის გველს, რაც სამართალდამცავებმა მყისიერად ჩააქრეს ცეცხლმაქრებით. 5 თებერვალს, პარლამენტის შენობასთან გამართულ აქციაზე აქტივისტებმა დანვეს საბჭოთა კავშირის დროშა, თუმცა მიმდებარედ მყოფ პირებს საფრთხე არ შექმნიათ და არც სამართალდამცავთა მხრიდან მოჰყოლია ამ ფაქტს რეაგირება.

აქციის ორგანიზატორებმა შეკრების/დემონსტრაციის თაობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო წინასწარ მხოლოდ ერთ შემთხვევაში⁵³ გააფრთხილეს. სამ შემთხვევაში (31 იანვრის,⁵⁴ 17 თებერვლის⁵⁵ და 18

50 რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1502 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევას.

51 რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1502 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

52 „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=15>

53 2020 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამართული აქცია, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ სამოქალაქო მოძრაობები „შეცვალე“, „გაბედე“ და გაერთიანებული ოპოზიცია.


54 აქცია გაიმართა პარტია „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ შეკრების მონაწილეები იმყოფებოდნენ ტრანსპორტის სავალ ადგილას, ტრანსპორტის მოძრაობა არ შეფერხებულა.

55 საქართველოს პარლამენტთან გამართულმა შეკრებამ, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ მოძრაობა „შეცვალე“ და „ლელო საქართველოსთვის“, პარლამენტის შენობის შესასვლელთან ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება გამოიწვია.

თებერვლის⁵⁶ აქციები), „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ დამკვირვებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აქციის ორგანიზატორებს თბილისის მერია არ გაუფრთხილებიათ. დანარჩენ შემთხვევაში, შეკრების ხასიათისა და მასში მონაწილე პირთა რაოდენობის გათვალისწინებით, არ არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება.

⁵⁶ საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულმა აქციამ, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ სამოქალაქო მოძრაობა „შეცვალე“ და ოპოზიციური პარტიები: „ლელო საქართველოსთვის“, „ახალი საქართველო“, „ევროპული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება გამოიწვია. შეკრების მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, ჭიჭინაძის ქუჩა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გადაკეტეს. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავები მოუწოდებდნენ დემონსტრანტებს, გადასულიყვნენ სატრანსპორტო საშუალებისთვის განკუთვნილი სავალი ნაწილიდან, რასაც აქტივისტები არ დაემორჩილნენ. სამართალდამცავები ძალის გამოყენებით (მინოლით) შეეცადნენ გადაეყვანათ შეკრების მონაწილეები აღნიშნული ტერიტორიიდან, თუმცა - უშედეგოდ. სწორედ ეს გახდა მხარეთა შორის დაპირისპირების მიზეზი.

6. სასამართლო პროცესებზე დაპირებების შედეგები



„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ წარმომადგენლები დააკვირდნენ 2019 წლის 17 დეკემბერს თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში და 2019 წლის 31 დეკემბერს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველზე დაკავებული სამოქალაქო აქტივისტების 4 სასამართლო პროცესს, საერთო ჯამში - 9 სასამართლო სხდომას.

6.1. მართლმსაჯულების ბანხორციელებისას გამოვლენილი ტენიკური სახის დარღვევები

ძირითადი დაკვირვების სახით უნდა ითქვას, რომ:

- » თითქმის ყველა სასამართლო სხდომა (გარდა ერთისა) დაგვიანებით დაიწყო, შემდეგი მიზეზებით: ა) საქმის მთავარი სხდომის წინ დარბაზის მოულოდნელი ცვლილება (ოთხ შემთხვევაში), აღნიშნული ინფორმაციის შესაბამის ვებ-გვერდსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე სათანადო წესით განთავსების გარეშე; ბ) მოსამართლის დაგვიანებით გამოცხადება (ორ შემთხვევაში); გ) მხარის დაგვიანებით გამოცხადება (ერთ შემთხვევაში)
- » განსახილველი საქმეების მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და პროცესზე დასწრების სურვილის მქონე პირთა რაოდენობის მიუხედავად, სასამართლო პროცესები მცირე მოცულობის სხდომათა დარბაზებში იმართებოდა, რის გამოც მსურველთა ნაწილს არ მიეცა პროცესებზე დასწრების შესაძლებლობა
- » სასამართლო განხილვების მიმდინარეობისას, შესაბამისი ტექნიკური აპარატურისა და აღჭურვილობის უქონლობის გამო, მხოლოდ მხარეებს მიეცათ საქმეზე მტკიცებულების სახით წარდგენილი მასალის სრულად გაცნობის შესაძლებლობა, სხდომაზე დამსწრე პირები კი ამ საშუალებას მოკლებულნი იყვნენ.

6.2. სანართალდამსავებზე დაკისრებული მოვალეობების არააწარმოვნად შესრულების ფაქტები

მონმეთა დაკითხვის პროცესში, მონმედ დაკითხულმა სამართალდამცავთა ნაწილმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნათა⁵⁷ სანიანალმდეგოდ, დემონსტრანტებს დაკავების მომენტში არ განუმარტეს:

- » მათ მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი
- » უფლება ადვოკატზე
- » უფლება, რომ მათი სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი მათ მიერ დასახელებული ახლობლისთვის შეეტყობინებინათ.

გარდა ამისა, ორმა პატრულ-ინსპექტორმა განაცხადა, რომ აქციის მონაწილეთა დაკავების პროცესში ჩართული არ ჰქონდათ სპეციალური ვიდეოგადამღები ტექნიკა,⁵⁸ რაც შეიძლება კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის არააწარმოვან შესრულებად მივიჩნიოთ.

6.3. სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა რელევანტურობისა და უზუსტურობის საკითხი

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ სასამართლოში გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა ნაწილი არარელევანტური იყო და მტკიცების საგანთან რაიმე ტიპის კავშირი არ გააჩნდა. მაგალითად, ერთ-ერთი დაკავებულის (ნ.რ.) მიერ სადავო ქმედების ჩადენის დასადასტურებლად მტკიცებულების სახით წარმოდგენილ ვიდეომასალაში ნ.რ. საერთოდ არ ფიგურირებდა.

ამასთანავე, მტკიცებულებათა გამოკვლევისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით, სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა მონმედ დაკითხულ სამართალდამ-

⁵⁷ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245.

⁵⁸ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24, პუნქტი 1, 2.

ცავთა მიერ მიცემული ჩვენებების უტყუარობის საკითხი. კერძოდ, დამკვეთ-ბელი პირების მიერ სამართალდარღვევათა ოქმში ასახული ფაქტები არ ემთხვეოდა მათ მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს. მაგალითად, ერთ-ერთი სამართალდამცავის მიერ შედგენილ სამართალდარღვევის ოქმში მითითებული იყო, რომ დაკავებული პირი იგინებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ხოლო მოსამართლის წინაშე მიცემულ ჩვენებაში მოწმემ აღნიშნა, რომ დაკავებული პირი უბრალოდ ყვიროდა.

მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე აღმოჩნდა, რომ დაკავებისას შედგენილი სამართალდარღვევათა ოქმები თითქმის სრულად იდენტური იყო, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დაკავების ოქმების უმრავლესობა უშუალოდ დამკვეთელ პირებს არ შეუდგენიათ. შესაბამისად, დაკავების ოქმები არ ასახავს დაკავებისას რეალურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნულ ეჭვს აღრმავებს ის გარემოებაც, რომ 3 შემთხვევაში ჩვენების მიცემისას პატრულ-ინსპექტორებმა ერთხმად დაადასტურეს კონკრეტულ პირთა დაკავების პროცესში მათი უშუალო მონაწილეობის ფაქტი, თუმცა, ვიდეოკადრებში ნათლად გამოჩნდა, რომ აღნიშნული პატრულ-ინსპექტორები ადგილზე მხოლოდ მას შემდეგ გამოცხადნენ, რაც სამოქალაქო აქტივისტები პოლიციის სხვა თანამშრომლებს უკვე დაკავებული ჰყავდათ და საპატრულო პოლიციის ავტომობილებში ისხდნენ.

მოცემული მტკიცებულებების შესწავლისას სამართალდამცავების ჩვენებებსა და ვიდეოკადრებში რეალურად დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის არსებითი წინააღმდეგობები გამოიკვეთა.

6.4. დაკავებულ პირთა მიერ ჩადენილი ქმედებების სამართლებრივი შეფასების პრობლემატიკა

სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა სამართალდამცავი ორგანოების მიერ კონკრეტულ სამართალდარღვევათა (წვრილმანი ხულიგნობა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების ერთობლივად გამოყენების მცდარი პრაქტიკა. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, სამართალდამცავი ორგანო შეკრება/დემონსტრაციებზე დაკავებულ პირთა მიმართ, ფაქტობრივად

მექანიკურად, ერთობლივად იყენებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებს, მაშინ როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება სახეზე იყოს მხოლოდ ერთი მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნები. ამგვარი მიდგომით ხელოვნურად იქმნება სამართალდარღვევათა ერთობლიობა, რითაც უსაფუძვლოდ მძიმდება პირთა სამართლებრივი მდგომარეობა.

2019 წლის 31 დეკემბერს პარლამენტის წინ გამართული აქციის დროს დაკავებულთა საქმეებში, ორ შემთხვევაში პოლიციელებისათვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართვა („მონა“, პოლიციელების სხვადასხვა ცხოველებთან შედარება) სამართალდამცავებმა არასწორად შეაფასეს წვრილმან ხულიგნობად. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკავებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეწყდა წვრილმანი ხულიგნობის ნაწილში, წვრილმანი ხულიგნობის შემადგენლობის არარსებობის საფუძველით; ცალკეულ პირთა მიერ პოლიციის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები კი (1 შემთხვევაში) შეფასდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევა - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერ შეურაცხმყოფად. ამდენად, ყოველი კონკრეტული ქმედების სამართლებრივი შეფასება უნდა მოხდეს ყველა ფაქტობრივი გარემოების დეტალურად შესწავლის და ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი ხასიათის კონკრეტულ მუხლთან სრული თავსებადობის საფუძველზე (როგორც ფორმალური, ასევე, შინაარსობრივი კუთხით).

6.5. სასამართლოს გადაწყვეტილებები

2019 წლის 31 დეკემბერს დაკავებულ სამოქალაქო აქტივისტთა საქმეებში, სასამართლოს მიერ გაზიარებულ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, არ დადასტურდა აქციის მონაწილეთა მიერ პოლიციისათვის წინააღმდეგობის განცემა და მათი კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტები. მტკიცებულებათა სახით წარდგენილ ვიდეომასალაში არ დაფიქსირდა აქტივისტთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც თავის მხრივ, უწესრიგობის თავიდან აცილების მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელს გახდოდა საპოლიციო პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გატარებას.


პოლიციელის ესა თუ ის განკარგულება და მოთხოვნა კანონიერია მაშინ, როდესაც იგი გამომდინარეობს უშუალოდ კანონმდებლობიდან.⁵⁹ რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც პოლიციელთა მხრიდან კონკრეტული მოთხოვნის წაყენებისა თუ განკარგულების გაცემის სამართლებრივ საფუძველს შექმნიდა და შესაბამისად, ქმედებას კანონიერებას შექმნდა. განსახილველ შემთხვევებში კი, საქმის მასალებით არ დადასტურდა აქციის მონაწილეთა მიერ პოლიციისათვის არც წინააღმდეგობის განევა და არც სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

შესაბამისად, ქმედების შემადგენლობის არარსებობის საფუძველით, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკავებულ აქტივისტთა უმრავლესობის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საქმის წარმოება შეწყდა. თუმცა, ერთ შემთხვევაში სასამართლომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისათვის „მონის“ დაძახება პირისათვის შეურაცხყოფის მიყენებად ჩათვალა და აღნიშნული ქმედება კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად მიიჩნია.

სასამართლო, გადაწყვეტილებების მიღებისას, პრაქტიკულად დაეყრდნო სწორედ ვიდეომტკიცებულებების გამოკვლევისას მიღებულ შედეგებს და სრულად გაიზიარა ვიდეომასალაში დაფიქსირებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში, არსებითად ეწინააღმდეგებოდა მონის სახით დაკითხულ პატრულ-ინსპექტორთა ჩვენებებში გაჟღერებულ ინფორმაციას. რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ პატრულ-ინსპექტორთა მიერ მიცემულ ჩვენებათა უმრავლესობა არ გაიზიარა. მიუხედავად ამისა, საკვლევი პერიოდის და მასალის სიმცირიდან გამომდინარე, რთული შესაფასებელია, აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის განვითარების ძირითად ტენდენციას წარმოადგენს, თუ იზოლირებულ შემთხვევას.

59 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი, თბილისი, 2017, გვ. 14

7. რეკომენდაციები



საქართველოს პარლამენტს:

- » „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ დანაწესში, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილებების ვალდებულებას, გათვალისწინებული იქნეს საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც რეალურად არსებული სპეციალური მდგომარეობის გამო, შესაბამისი ორგანოს წინასწარი ინფორმირება შეკრების/მანიფესტაციის გამართვის თაობაზე ობიექტურად შეუძლებელია
- » განხორციელდეს 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ძირეული რეფორმა
- » უზრუნველყოს პარლამენტის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვა. პარლამენტში სპეციალური საშვის მქონე პირთა შესვლა შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებიდან, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისგან დაცვის უზრუნველყოფიდან გამომდინარე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- » უზრუნველყოს 2019 წლის 31 დეკემბერს, დემონსტრანტთა დაკავების პროცესში, პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების დამოუკიდებელი, ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება
- » მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ძალადობრივი ჯგუფების დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, უზრუნველყოს ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გატარება ძალადობის აღსაკვეთად და დაპირისპირებული მხარეების ერთმანეთისგან განსაცალკევებლად
- » შემჭიდროვებულ ვადებში წარმართოს მშვიდობიან დემონსტრანტთა მიმართ რადიკალური ჯგუფების წარმომადგენლებისა და კონტრაქციის მონაწილეთა მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოძიება, ახალი ძალადობრივი დანაშაულების თავიდან არიდების მიზნით;

გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია

» მოხდეს პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება ადმინისტრაციული წესით დაკავებისას პირის ქმედებისათვის შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დოკუმენტაციის (მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის) მომზადების და დაკავებულ პირებთან შესაბამისი კომუნიკაციის თაობაზე

» შეკრებებსა და დემონსტრაციებზე დაკვირვების წარმოებისას, სამართალდამცავმა ორგანოებმა გაითვალისწინონ, რომ აქციაზე თანამშრომლის შესაბამისი ფორმისა და ამოსაცნობი ნიშნის გარეშე ყოფნამ შეიძლება მსუსხავი ეფექტი იქონიოს აქციის მონაწილეებზე და შეზღუდოს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

თბილისის მერიას

» არ დაუშვას თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის გამოყენება სამსახურის წესდებით გათვალისწინებული მიზნების მიღმა.

